აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვის პროცედურის გაგრძელების მიზანშეწონილობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 81^1 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. წინა მოწვევის უმაღლეს საბჭოში განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებიდან განხილვის პროცედურის გაგრძელება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ ინიცირებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ (№02-09-15/452, 31.10.2016).
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2016 წლის 15 დეკემბერი
№14-უ.ს.შ.ს.